პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

საავტორიზაციო პერიოდში მონიტორინგის გზით **სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“** ავტორიზაციის პირობების შემოწმება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

წევრი: შორენა ჯაფარიძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245610398**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ პროფესიული კოლეჯის "ბლექსი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N1049 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა N1488004 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა" და „გ" პუნქტებთან.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

V. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1

ქვესტანდარტი 1.1

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** მე-2 დანართში და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** მე-3 დანართში - „სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილება კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის“ მოდულის კოდები რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულ მოდულის კოდებთან. ამასთან, დასაზუსტებელია ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მოდულის - „გარემოს დაცვთი საფუძვლები“ კოდი.

2. რეკომენდებულია კოლეჯის ბრძანების ბლანკზე სამინისტროს სახელწოდება ჩაიწეროს ახალი რედაქციით, კერძოდ, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ (შემდგომში „კოლეჯი“) პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის №01–02/82 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის“** მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის №01-02/96 ბრძანებით, ხოლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება გამოცემულია 2018 წლის 19 ნოემბერს №01-02/167.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა შეადგენს 58 კრედიტს, აქედან 18 კრედიტი დათმობილია ზოგადი მოდულებისათვის, 5 კრედიტი - საერთო პროფესიული მოდულებისათვის, ხოლო 35 კრედიტი - არჩევითი მიმართულების/კონცენტრაციისათვის. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის პროგრამა ითვალისწინებს მოდულს „ქართული ენა A2”, 15 კრედიტის მოცულობით. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** ხორციელდება დუალური მიდგომით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამის სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულების ჯამური მოცულობა შეადგენს - 40 კრედიტს, აქედან რეალურ სამუშაო გარემოში მისაღწევი სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების მოცულობა შეადგენს 21 კრედიტს, ანუ 53%-ს, რაც აკმაყოფილებს დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** დუალური მიდგომით განხორციელებაში ჩართულია შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს ,,ორბი ჯგუფი“ - №42; 13.07.2018. -(იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №135)
2. შპს ,, შპს ,,გ2 ბილდინგი“ - №52; 13.07.2017 - (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, გენერალ აბაშიძის ქ. №49/5.ბ.35)
3. შპს ,,ოცნება“ - №44; 13.07.2018. - (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. № 4 ა)
4. შპს ,,ანაგი“ - №74; 22.10.18. (იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37.39; სხვა მისამართი - ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. №1ა);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** ყველა მოდული ადაპტირებულია და იძლევა ამომწურავ ინფორმაციას მისი განხორციელებების მიდგომების შესახებ. პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილების სქემა კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ. სასწავლო გეგმის მიხედვით, დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის დატვირთვის ზღვრული ნორმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის №01-02/95 ბრძანებით, ხოლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება გამოცემულია 2018 წლის 19 ნოემბერს №01-02/166.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა შეადგენს 82 კრედიტს, აქედან 18 კრედიტი დათმობილია ზოგადი მოდულებისათვის, 5 კრედიტი - საერთო პროფესიული მოდულებისათვის, ხოლო 59 კრედიტი - არჩევითი მიმართულების/კონცენტრაციისათვის. არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

სწავლებისათვის პროგრამა ითვალისწინებს მოდულს „ქართული ენა A2”, 15 კრედიტის მოცულობით. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** ხორციელდება როგორც მოდულური, ასევე დუალური მიდგომით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულების ჯამური მოცულობა შეადგენს- 64 კრედიტს, აქედან რეალურ სამუშაო გარემოში მისაღწევი სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების მოცულობა შეადგენს 33.5 კრედიტს, ანუ 52%-ს, რაც აკმაყოფილებს დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** დუალური მიდგომით განხორციელებაში ჩართული შემდეგი პარტნიორ ორგანიზაციები:

1. შპს ,,ანაგი“ - №57; 19.07.18. (იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37.39; სხვა მისამართი - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №1ა);
2. შპს ,,ორბი ჯგუფი“ - №43; 13.07.18 – (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №135)
3. შპს ,, შპს ,,გ2 ბილდინგი“ - №53; 13.07.18 – (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, გენერალ აბაშიძის ქ. №49/5.ბ.35)
4. შპს ,,ოცნება“ - №45; 13.07.18 - (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. № 4 ა)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** ყველა მოდული ადაპტირებულია და იძლევა ამომწურავ ინფორმაციას მისი განხორციელებების მიდგომების შესახებ. პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილების სქემა კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახროციელებელი პირებისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ. სასწავლო გეგმის მიხედვით დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები და პროფესიულის სტუდენტის დატვირთვის ზღვრული ნორმა.

ექსპერტებმა ასევე გაანალიზეს კოლეჯის მიერ დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების მიზნით წარმოდგენილი, შპს ,,ანაგი“-თან დადებული ხელშეკრულების შინაარსი. დადგინდა, რომ ხელშეკრულებაში დაკონკრეტებულია პროგრამის დასახელება, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ერთდროულად შეიძლება მიიღოს კომპანიამ, მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებთან შრომითი ხელშეკრულების და ანაზღაურების ვალდებულება (თუმცა, თანხა არ არის მითითებული). დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, ხოლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ცხრილში, მითითებულია პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლების/ინსტრუქტორების ვინაობა, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტების აზრით, კომპანიებთან დადებული ამგვარი სახის ხელშეკრულებები, მათი შესრულების შემთხვევაში, პროგრამების განხორციელების გარანტიას იძლევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. თუმცა, დაშვებულია მცირე ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** მე-2 დანართში და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** მე-3 დანართში - „სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილება კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის“ მოდულის კოდები არ არის შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულ მოდულის კოდებთან. ამასთან, დასაზუსტებელია ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მოდულის - „გარემოს დაცვითი საფუძვლები“ კოდი.

2. რეკომენდებულია კოლეჯის ბრძანების ბლანკზე სამინისტროს სახელწოდება ჩაიწეროს ახალი რედაქციით, კერძოდ, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურია“ (13.07.2018, ბრძ. №01–02/82)**
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“**
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“**
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - მშენებლობის წარმოება
5. სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 19 ნოემბრის №01-02/166
6. სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 19 ნოემბრის №01-02/167

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“** და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 28 აგვისტოს №763/ი ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში - **მშენებლობის წარმოება (07320-3)** განხორციელებულ ცვლილებებს.

ასევე, აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, კერძოდ:

- 040687 – სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა
- 040689 – იატაკის და ფილის სამუშაოები

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამშენებლო კონტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“**
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მშენებლობის წარმოება/იატაკის და ფილის სამუშაოები“**
3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** - მშენებლობის წარმოება
4. სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 19 ნოემბრის №01-02/166
5. სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 19 ნოემბრის №01-02/167
6. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2018}

პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია[1]

№	პროგრამის დასახელება	როფესიული ანათლების საფეხური	მისანიჭებელი ვალიფიკაცია(კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საერ ნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	უდენტთა ფაქტობრივ ოდენობა(მისამართები მიხედვით)	ადგილებისშესაძ ლოზღვრული რაოდენობაექსპერ თა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 040687	58	73	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84	---	30
2	მშენებლობის წარმოება/ იატაკისა და ფილის სამუშაოები (1), (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 040689	64	97	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84	---	40

07.12.2018
თარიღი

[1] **პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის №154 გადაწყვეტილების მიხედვით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}